



გორის სულხან ცინცაძის სახელობის სამუსიკო კოლეჯი

სსიპ-ქ.გორის ს.ცინცაძის სახელობის სამუსიკო კოლეჯის

2021 წლის წლიური ანგარიში

2021 წელს სსიპ ქ.გორის სულხან ცინცაძის სახელობის სამუსიკო კოლეჯის მიერ განხორციელებული აქტივობები კოლეჯის სამოქმედო გეგმის შესაბამისად მიმდინარეობდა. სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული აქტივობებს დაემატა ახალი აქტივობები გარდაუვალი საჭიროებების წარმოქმნის მიზეზით. ვინაიდან კოლეჯს 2022 წლის დეკემბერში უწევს გეგმიური რეავტორიზაცია პროფესიული განათლების ახალი სტანდარტების გათვალისწინებით. ამ საპასუხისმგებლო პროცესის მაღალ დონეზე ჩატარების მიზნით, კოლეჯმა მონაწილეობა მიიღო სსიპგანათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ ორგანიზებულ სიმულაციური ავტორიზაციის პროცესში.

სიმულაციური ავტორიზაცია სტანდარტების სრული შესაბამისობით შედგენილი თვითშეფასებისა და შესაბამისი დანართების განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში წარდგენის საფუძველზე განხორციელდა. თვითშეფასებები შედგა 2020 წელს დამტკიცებული პროფესიული განათლების ახალი სტანდარტების შესაბამისად. დოკუმენტი, დაწვრილებით ასახავდა ხუთივე სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებთან კოლეჯის შესაბამისობისთვის გაწეულ საქმიანობას.. სტანდარტებთან შესაბამისობის მიზნით კოლეჯის პერსონალის მიერ შესრულდა საკმაოდ მოცულობითი სამუშაო.

2021 წლის 24 ივნისსა და 1 ივლისს ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ ჩატარდა სიმულაციური ავტორიზაციის ვიზიტი. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31-ე მუხლის, მე-2 პუნქტით განსაზღვრული სტანდარტების შესაბამისობის შეფასების მიზნით, დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების გამოყენებით.

განხორციელდა ადმინისტრაციასთან შეხვედრა, ინტერვიუები ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელ პირებთან, საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვასა და შემუშავებაზე პასუხისმგებელ პირებთან, სასწავლო პროცესის ორგანიზებაზე პასუხისმგებელ პირებთან, ბიბლიოთეკართან, საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელებთან და პროფესიული განათლების მასწავლებლებთან, პარტნიორ ორგანიზაციებთან და მატერიალური რესურსების მართვაზე პასუხისმგებელ პირებთან. ამავე დღეს განხორციელდა დაწესებულების მატერიალური რესურსებისა და ინფრასტრუქტურისა და ბიბლიოთეკისა და ფონოთეკის დათვალიერება.

2021 წლის 1 ივლისს დისტანციური ვიზიტის ფარგლებში განხორციელდა ინტერვიუები დაწესებულების IT სპეციალისტთან, პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვაზე პასუხისმგებელ პირებთან, პროფესიულ სტუდენტებთან და დაწესებულების ადამიანური რესურსების მართვაზე პასუხისმგებელ პირებთან. ასევე, ავტორიზაციის ექსპერტთა მიერ განხორციელდა დაწესებულებაში წესრიგის დაცვის, უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმების გადამოწმება, დაწესებულების შეფასება ფინანსური მდგრადობის მიზნით, პირველადი გადაუდებელი დახმარებისთვის მექანიზმის/რესურსის გადამოწმება და პასუხისმგებელ პირებთან გასაუბრება. დღის ბოლოს ექსპერტების მიერ მოხდა მიგნებების შეჯამება და მათი პრეზენტაცია დაწესებულების წარმომადგენლებთან.

დაწესებულების მიერ ავტორიზაციის პირობების შეფასებისას ხარვეზი არ დაფიქსირებულა, დროულად სრულყოფილად იქნა წარმოდგენილი ყველა დოკუმენტი თუ მტკიცებულება, თუმცა აღინიშნა, რომ კოლეჯის მიერ სხვადასხვა დროს შემუშავებულ დოკუმენტთაგან, ზოგიერთში ფიქსირდებოდა ერთი და იგივე საკითხების დუბლირება, გარდა ამისა, გამოყენების თვალსაზრისით უფრო მარტივი იქნება თუ დაწესებულება მოახდენს შიდა მარეგულირებელი დოკუმენტების სისტემატიზაციასა და/ან გამსხვილებას მათი გამოყენებით დასარეგულირებელი თემატიკების მიხედვით. ასევე, აღინიშნა, რომ დაწესებულების მიერ ავტორიზაციის სტანდარტების მოთხოვნები ფაქტობრივად, შესრულებულია. ავტორიზაციის ექსპერტთა ვიზიტმა ჩაიარა მშვიდ და საქმიან გარემოში. კომისიის დასკვნა გათვალისწინებული იქნა 2022 წლის სამოქმედო გეგმაზე მუშაობისას. მონიტორინგის დასრულებისთანავე დავიწყეთ მუშაობა მარეგულირებელი დოკუმენტების სრულყოფაზე, მოხდა მათი სისტემატიზაცია, გამსხვილება, მეტი ყურადღება გამახვილდა ჩატარებული საქმიანობის მტკიცებულებების სრულყოფაზე.

სსიპ-ქ.გორის სულხან ცინცაძის სახელობის სამუსიკო კოლეჯის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა კოლეჯის თანამშრომლებისა და პროფესიული სტუდენტების ხედვისა და შეფასების შესწავლის შედეგია. ის შემუშავდა კოლეჯის 2020-2026 წლების სტრატეგიული გეგმის მიხედვით და წარმოადგენს კოლეჯის სამუშაო პოლიტიკის განმსაზღვრელ დოკუმენტს, რომელიც ხელს უწყობს კოლეჯის პედაგოგიური კოლექტივისა და ადმინისტრაციის გაერთიანებას საერთო ღირებულებებისა და პრინციპების გარშემო, ისევე როგორც მათ შეთანხმებულ მუშაობას კოლეჯის მისიის განსახორციელებლად. სამოქმედო გეგმა ერთობლივი მუშაობის შედეგია. იგი მიმოიხილავს დაწესებულების ხედვას, დანიშნულებას, მუშაობის მთავარ პრინციპებს, მნიშვნელოვან მიზნებსა და ამოცანებს, ასევე მათი გადაწყვეტის გზებსა და საშუალებებს 2020-2026 წლებში. კოლეჯის ერთწლიანი გეგმა ეყრდნობოდა კოლეჯის მიერ განსაზღვრულ მისიას, ხედვასა და ღირებულებებს, აგრეთვე მათი განხორციელების გზებს.

კოლეჯის ადმინისტრაციისა და პროფესიული განათლების მასწავლებელთა მთავარი მიზანია, რომ 2026 წლისათვის სსიპ-ქ.გორის სულხან ცინცაძის სახელობის სამუსიკო კოლეჯი იყოს სამუსიკო მიმართულების წამყვანი პროფესიული სასწავლო დაწესებულება, რომელსაც გააჩნია

მაღალი ნდობა და აღიარება და რომელიც თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი პროფესიული კადრებით უზრუნველყოფს სამუსიკო სფეროში არსებული საკადრო მოთხოვნებს.

კოლეჯის შესაძლებლობები: დღეისათვის ჩვენი კოლეჯი ერთადერთი პროფესიული სასწავლებელია, რომელიც ახორციელებს სამუსიკო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებს. კოლეჯის ხარისხის სამსახური მონაწილეობდა ხარისხის ცენტრის მიერ ამ პროგრამების ჩარჩო დოკუმენტის ოპტიმიზირების პროცესში. ახალ სტანდარტში კანონმდებლობასთან შესაბამისობაში არის მოყვანილი მისანიჭებელი კვალიფიკაცია და ასევე დოკუმენტი გასწორებულია მეთოდოლოგიურადაც. ვგეგმავთ, შეიქმნას მომზადება/გადამზადების პროგრამები.

ბაზრის კვლევისას, დამსაქმებლებთან შეხვედრისას, ვრწმუნდებით, რომ რეგიონებში მზარდი მოთხოვნა სამუსიკო სკოლისგარეშე, სკოლამდელ საგანმანათლებლო დაწესებულებებში პროფესიონალ კადრებზე, დღეს ამ სფეროში დასაქმებულთა დიდი უმრავლესობა საპენსიო ასაკს არის გადაცილებული, ახალი კადრების მომზადება კი ჩვენი კოლეჯის გარდა არსად არ ხდება, რაც შესაძლებლობას აძლევს კოლეჯს, ახალი პროგრამების არსებობის შემთხვევაში, დაიმატოს ისინი სპეციალისტებზე მოთხოვნის გათვალისწინებით.

განსაკუთრებით დიდი მოთხოვნაა დაწყებითი სამუსიკო სკოლის მასწავლებლებზე, რომელთა მომზადებასაც 2009 წლამდე წარმატებით უზრუნველყოფდა პროფესიული სამუსიკო სასწავლებლები, რისი უფლებაც, სამწუხაროდ, დღეს მოქმედი კანონმდებლობით, კოლეჯს აღარ გააჩნია მიუხედავად იმისა, რომ კოლეჯში სწავლის ყველა მსურველს, სრულ ზოგად განათლებასთან ერთად მიღებული აქვს საკმაოდ საფუძვლიანი და ხანგრძლივი, 6, 9 ან 11 წლიანი სამუსიკო განათლება.

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 19 ივნისის N114/ნ ბრძანებით საჯარო სამართლის იურიდიული პირი-ქ.გორის სულხან ცინცაძის სახელობის სამუსიკო კოლეჯი დაფუძნდა ქ.გორის ს.ცინცაძის სახელობის სამუსიკო საზოგადოებრივი კოლეჯის უფლებამონაცვლედ. რომელიც, თავის მხრივ, 55 წლიანი ტრადიციების მქონე საშუალო სპეციალური სასწავლებლის-გორის ს.ცინცაძის სახელობის სამუსიკო კოლეჯის უფლებამონაცვლედ დაფუძნდა 2011 წელს. სწორედ 2019 წლიდან კოლეჯში დაინერგა მოდულური პროგრამები პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - პიანისტ-აკომპანიატორი და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - მუსიკის რეპეტიტორი. 2020 წლის მაისში განხორციელდა ცვლილებები აღნიშნულ პროგრამებში დღეს მოქმედი ორივე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება „სამუსიკო ხელოვნების“ ჩარჩო დოკუმენტის კვალიფიკაციას პიანისტ-აკომპანიატორისა და მუსიკის რეპეტიტორის კონცენტრაციების საფუძველზე. 2021 წლის დეკემბერში დასრულდა სწავლება V საფეხურის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე(მიღევადი საგნობრივი პროგრამები), ასე, რომ ამჟამად კოლეჯი ახორციელებს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ დამტკიცებულ სამუსიკო მიმართულების ორ პროგრამას:

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა პიანისტ-აკომპანიატორი.

კვალიფიკაცია-„უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია სამუსიკო ხელოვნებაში“

-Higher Vocational Qualification in Music Art

პროგრამის ხანგრძლივობაა 28 თვე

პროგრამის მოცულობა-144 კრედიტი

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „მუსიკის რეპეტიტორი“

კვალიფიკაცია „უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია სამუსიკო ხელოვნებაში“

-Higher Vocational Qualification in Music Art

პროგრამის ხანგრძლივობა 20 თვე

მოცულობა-108 კრედიტი

იმის გამო, რომ წლების განმავლობაში სამუსიკო განათლება არ არის ფორმალიზებული, შეფერხებულია სამუსიკო მიმართულების ახალი სტანდარტების და პროფესიების შექმნა და დანერგვა... 2021 წლის დეკემბრიდან საქართველოს პარლამენტის კულტურის კომიტეტმა და საქართველოს კულტურის, სპორტის და ახალგაზრდულ საქმეთა სამინისტრომ, დარგობრივმა საბჭომ მუშაობა განაახლა სამუსიკო განათლების რეფორმაზე, მისი ფორმალური განათლების სტანდარტებში მოქცევისა და საფუძვლებისა და კვალიფიკაციების დადგენაზე. ჩვენ აქტიურად ვართ ჩართული დოკუმენტის შემუშავებაში, კოლეჯის დირექტორი მონაწილეობდა კომიტეტის ონლაინ შეხვედრებში, კომიტეტსა და კულტურის, სპორტის და ახალგაზრდულ საქმეთა სამინისტროს გავუზიარეთ ჩვენი გამოცდილება და მივაწოდეთ ჩვენი ხედვა საკითხთან დაკავშირებით. იმედს გამოვთქვამთ, რომ მიღებული გადაწყვეტილებები სასიკეთოდ წაადგება პროფესიულ სამუსიკო განათლებას და გზას გაგვიხსნის ახალი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შექმნისა და დანერგვისაკენ.

2020 წელთან შედარებით 2021 წელს გაუმჯობესდა პროფესიულ სტუდენტთა ინტერნეტსა და სმარტ-მოწყობილობებზე წვდომა. სასწავლო პროცესი, გასულ წელთან შედარებით, თითქმის უწყვეტ რეჟიმში მიმდინარეობდა. მოდულების ნაწილის სწავლება და პროფესიულ სტუდენტთა კონსულტირება ხორციელდებოდა როგორც პირისპირ, ასევე დისტანციურ რეჟიმშიც.

მუდმივად ხორციელდებოდა სასწავლო პროცესის ონლაინ, დისტანციურ ან კომბინირებულ რეჟიმში სწავლის გაგრძელების შესაძლებლობის შესწავლა და სწავლების განხორციელება მოდულების თავისებურებების გათვალისწინებით.

კვლავ განხორციელდა სასწავლო გეგმის ადაპტირება მიმდინარე პროცესის საჭიროებისა და მიხედვით; გასულ წელს სასწავლო პროცესის ხანგრძლივმა წყვეტამ გამოიწვია სწავლის დასრულების თარიღების კორექტირებაც.

სასწავლო წლის განმავლობაში დიდი ყურადღება ექცეოდა პროფესიული განათლების მასწავლებლებთან შეფასების ინსტრუმენტებსა და შეფასების მეთოდებზე მუშაობას. ყოველივე ეს დადებითად აისახა საგანმანათლებლო პროცესის ხარისხზე. განსაკუთრებით საყურადღებოა

მასწავლებელთა ჩართვა დისტანციურ სწავლებასთან დაკავშირებულ ტრენინგებსა და დარგობრივ ჯგუფებში. მიზანი-შეფასების ინსტრუმენტების სრულყოფისთვის მზადყოფნა; უფრო დახვეწილი გახდა პროფესიულ მასწავლებელთა ონლაინ რეჟიმში მუშაობა;

მოგეხსენებათ, რომ 2020 წელს კოვიდ-19 პანდემიის გამო სასწავლო პროცესი კოლეჯში, როგორც ყველგან, დადგა დიდი გამოწვევის წინაშე. რამაც გარკვეულწილად იმოქმედა განსახორციელებელი აქტივობების ხარისხზე. პრაქტიკული მოდულების სწავლებისა და საწარმოო პრაქტიკის გავლის საკითხი დადგა სირთულის წინაშე, რადგან დისტანციური სწავლების რეჟიმში მათი განხორციელება შეუძლებელი იყო. 2021 წელს, როგორც კი აღდგა სკოლისგარეშე დაწესებულებების საქმიანობა, საწარმოო პრაქტიკა დაბრუნდა ჩვეულ რეჟიმში და წარმატებით განხორციელდა.

კოლეჯის პროფესიული პროგრამების ხელმძღვანელები და მასწავლებლები სისტემატურად მონაწილეობდნენ ხარისხის ეროვნული ცენტრისა და მასწავლებლის მომზადების ცენტრის მიერ ორგანიზებულ ონლაინ-ტრენინგებში, კოლეჯის კომპიუტერული ქსელის ადმინისტრატორის, სასწავლო პრაქტიკის, პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის მენეჯერისა და ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერის ურთიერთთანამშრომლობით ხორციელდებოდა შიდა ტრენინგები ელექტრონული სასწავლო პლატფორმების (Microsoft Teams, ZOOM) გამოყენების ინსტრუქციების შესასწავლად. ახალ ჩარიცხულ პროფესიულ სტუდენტებთან ჩატარდა სატელეფონო გამოკითხვა ინტერნეტთან წვდომასა და კომპიუტერული ტექნიკის ფლობასთან დაკავშირებით. გამოკითხვამ ცხადყო თუ როგორი აქტიურობით ტარდება სწავლა/სწავლების პროცესი დისტანციურად. გამოკითხვის შედეგები გადაიგზავნა „პროფესიული განათლების მართვის სისტემაში“ (www.vet.emis.ge) მათივე მოთხოვნით. საბედნიეროდ, კოლეჯის მოდულური პროგრამების ყველა პროფესიულ სტუდენტს აქვს წვდომა ინტერნეტ-რესურსებთან.

სსიპ - ქ. გორის ს.ცინცაძის სახელობის სამუსიკო კოლეჯის

პროფესიულ მასწავლებელთა ტრენინგებში ჩართულობა 2021 წელი

№	ტრენინგის დასახლება	თემატიკა და მიზანი	თარიღი და ადგილი	მონაწილეების სახელი და გვარი
1.	<p>ონლაინ შეხვედრა - საგრანტო პროექტი „მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლება პროფესიულ განათლებაში“, პილოტირების მეორე ეტაპი</p> <p>ორგანიზატორები: საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო; მსოფლიო ბანკი;</p>	<p>მსოფლიო ბანკისა და საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს თანამშრომლობით, ხორციელდება საგრანტო პროექტი „მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლება პროფესიულ განათლებაში“.</p> <p>პროექტის ერთ-ერთი ამოცანაა, ხელი შეუწყოს პროფესიული განათლების სექტორის</p>	<p>10 თებერვალი, ახალი კორონავირუსის გავრცელების აღკვეთის მიზნით შექმნილი მდგომარეობის გათვალისწინებით ტრენინგები/ შეხვედრები ხორციელდება დისტანციურ რეჟიმში.</p>	<p>ნადეჟდა მანჯავიძე (დირექტორი); თამარ სოსანიძე (დირექტორის მოადგილე); დარეჯან ნასუაშვილი (სასწავლო პროცესის მენეჯერი); შორენა ცერცვაძე (ქსელის ადმინისტრატორი);</p>

	<p>პროფესიული განათლების განვითარების დეპარტამენტი</p>	<p>გაძლიერებას, მონაცემებზე დაფუძნებული გადაწყვეტილებების უზრუნველყოფის გზით. ამ ეტაპზე, დაგეგმილია პილოტირების მეორე ფაზის განხორციელება, რომელიც ფართომასშტაბიანია და გულისხმობს ყველა პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ჩართულობას.</p> <p>შეხვედრა მიმდინარეობდა „Microsoft Teams“ ონლაინ პლატფორმის გამოყენებით.</p>		<p>ნინო გივიაშვილი (სასწავლო პრაქტიკის, პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის მენეჯერი); პროფესიული მასწავლებლები</p>
2.	<p>ონლაინ საკონსულტაციო შეხვედრა საჯარო კოლეჯების მასწავლებლებთან და ადმინისტრაციასთან</p> <p>ორგანიზატორები: საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო; მსოფლიო ბანკი; გაერთიანებული სამეფოს „კარგი მმართველობის ფონდი“ (GGF)</p>	<p>მსოფლიო ბანკი, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროსთან თანამშრომლობითა და გაერთიანებული სამეფოს „კარგი მმართველობის ფონდის“ (GGF) მხარდაჭერით ახორციელებს პროექტს „მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლება პროფესიულ განათლებაში“. კონცეფციის განხილვის მიზნით ჩატარდა ონლაინ („Microsoft Teams“ ონლაინ პლატფორმა) საკონსულტაციო შეხვედრა საჯარო კოლეჯების მასწავლებლებთან და ადმინისტრაციასთან.</p>	<p>12 თებერვალი, ახალი კორონა ვირუსის გავრცელების აღკვეთის მიზნით შექმნილი მდგომარეობის გათვალისწინებით ტრენინგები/ შეხვედრები ხორციელდება დისტანციურ რეჟიმში.</p>	<p>ნადეჟდა მანჯავიძე (დირექტორი); თამარ სოსანიძე (დირექტორის მოადგილე); დარეჯან ნასუაშვილი (სასწავლო პროცესის მენეჯერი); შორენა ცერცვაძე (ქსელის ადმინისტრატორი); ნინო გივიაშვილი (სასწავლო პრაქტიკის, პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის მენეჯერი);</p>
3.	<p>ონლაინ შეხვედრა ფორმალური განათლების ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების აღიარების წესის განხილვის შესახებ</p> <p>ორგანიზატორები: საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო; განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი</p>	<p>საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2020 წლის 28 დეკემბრის N 121/ნ ბრძანებით დამტკიცდა პროფესიული განათლების სისტემისთვის უმნიშვნელოვანესი კანონქვემდებარე აქტი - „ფორმალური განათლების ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების აღიარების წესი“.</p> <p>შესაბამისად, პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური</p>	<p>12 თებერვალი, ახალი კორონავირუსის გავრცელების აღკვეთის მიზნით შექმნილი მდგომარეობის გათვალისწინებით ტრენინგები/ შეხვედრები ხორციელდება დისტანციურ რეჟიმში.</p>	<p>თამარ სოსანიძე (ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი) პროფესიული მასწავლებლები</p>

		<p>მიმდინარე წელს მიწვეულ იქნა აღნიშნული წესის განხილვაზე.</p> <p>შეხვედრა მიმდინარეობდა “ZOOM“ ონლაინ პლატფორმის გამოყენებით.</p>		
4.	<p>ონლაინ საკონსულტაციო შეხვედრა საჯარო კოლეჯების წარმომადგენლებთან</p> <p>ორგანიზატორები: საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო; მსოფლიო ბანკი; გაერთიანებული სამეფოს „კარგი მმართველობის ფონდი“ (GGF)</p>	<p>მსოფლიო ბანკი საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროსთან თანამშრომლობითა და გაერთიანებული სამეფოს „კარგი მმართველობის ფონდის“ (GGF) მხარდაჭერით ახორციელებს პროექტს „მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლება პროფესიულ განათლებაში“.</p> <p>კონცეფციის განხილვის მიზნით ჩატარდა ონლაინ („ZOOM“ ონლაინ პლატფორმა) საკონსულტაციო შეხვედრა საჯარო კოლეჯების წარმომადგენლებთან.</p>	<p>19 თებერვალი, ახალი კორონავირუსის გავრცელების აღკვეთის მიზნით შექმნილი მდგომარეობის გათვალისწინებით ტრენინგები/ შეხვედრები ხორციელდება დისტანციურ რეჟიმში.</p>	<p>ნადეჟდა მანჯავიძე (დირექტორი); თამარ სოსანიძე (დირექტორის მოადგილე); დარეჯან ნასუაშვილი (სასწავლო პროცესის მენეჯერი); პროფესიული მასწავლებლები</p>
5.	<p>ონლაინ შეხვედრა საჯარო კოლეჯების წარმომადგენლებთან</p> <p>ორგანიზატორები: საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო; მსოფლიო ბანკი; გაერთიანებული სამეფოს „კარგი მმართველობის ფონდი“ (GGF)</p>	<p>მსოფლიო ბანკი საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროსთან თანამშრომლობითა და გაერთიანებული სამეფოს „კარგი მმართველობის ფონდის“ (GGF) მხარდაჭერით ახორციელებს პროექტს „მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლება პროფესიულ განათლებაში“.</p> <p>ონლაინ შეხვედრაზე განხილულ იქნა პროექტის გუნდის მიერ შეიმუშავებული პროფესიული განათლების მასწავლებლის შრომის ანაზღაურების მოდელი.</p> <p>შეხვედრა მიმდინარეობდა “ZOOM“ ონლაინ პლატფორმის გამოყენებით.</p>	<p>24 თებერვალი, ახალი კორონავირუსის გავრცელების აღკვეთის მიზნით შექმნილი მდგომარეობის გათვალისწინებით ტრენინგები/ შეხვედრები ხორციელდება დისტანციურ რეჟიმში.</p>	<p>ნადეჟდა მანჯავიძე (დირექტორი); თამარ სოსანიძე (დირექტორის მოადგილე); დარეჯან ნასუაშვილი (სასწავლო პროცესის მენეჯერი); პროფესიული მასწავლებლები</p>
6.	<p>პროექტის „მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლება პროფესიულ განათლებაში“ დახურვის ღონისძიება</p>	<p>მსოფლიო ბანკი საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროსთან თანამშრომლობითა და გაერთიანებული სამეფოს „კარგი მმართველობის</p>	<p>26 თებერვალი, ახალი კორონავირუსის გავრცელების აღკვეთის მიზნით შექმნილი</p>	<p>ნადეჟდა მანჯავიძე (დირექტორი); თამარ სოსანიძე (დირექტორის მოადგილე);</p>

	<p>ორგანიზატორები: საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო; მსოფლიო ბანკი; გაერთიანებული სამეფოს „კარგი მმართველობის ფონდი“ (GGF)</p>	<p>ფონდის“ (GGF) მხარდაჭერით განხორციელდა პროექტის „მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლება პროფესიულ განათლებაში“ დახურვის ღონისძიება, სადაც განხილულ იქნა შემდეგი საკითხები:</p> <ul style="list-style-type: none"> • პროფესიული განათლების მასწავლებლების მართვისა და განვითარების სისტემისათვის საჭირო ახალი პოლიტიკის ჩარჩო დოკუმენტები • პროფესიული განათლების მასწავლებლის საქმიანობის დაწყების, პროფესიული განვითარებასა და კარიერულ წინსვლასთან დაკავშირებული რეკომენდაციები • მტკიცებულებებზე დაფუძნებული პოლიტიკის შემუშავება • პროფესიული განათლების მასწავლებლებისა და დირექტორების შესაძლებლობების გაძლიერება. 	<p>მდგომარეობის გათვალისწინებით ტრენინგები/ შეხვედრები ხორციელდება დისტანციურ რეჟიმში.</p>	<p>დარეჯან ნასუაშვილი (სასწავლო პროცესის მენეჯერი); პროფესიული მასწავლებლები</p>
7.	<p>ტრენინგი - „პროფესიული სტუდენტის შეფასების სისტემა და მისი ხარისხის უზრუნველყოფა პროფესიულ განათლებაში“</p> <p>ორგანიზატორები: სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი</p>	<p>სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის, პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ორგანიზებით დაიგეგმა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი დაწესებულებების შესაძლებლობების გაძლიერების მიზნით ტრენინგი - „პროფესიული სტუდენტის შეფასების სისტემა და მისი ხარისხის უზრუნველყოფა პროფესიულ განათლებაში“. შეხვედრა მიმდინარეობდა „ZOOM“ ონლაინ პლატფორმის გამოყენებით, რომელსაც უძღვებოდა სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის მოადგილე, ბატონი კახაბერ ერაძე.</p>	<p>26 აპრილი, ახალი კორონავირუსის გავრცელების აღკვეთის მიზნით შექმნილი მდგომარეობის გათვალისწინებით ტრენინგები/ შეხვედრები ხორციელდება დისტანციურ რეჟიმში.</p>	<p>ნადეჟდა მანჯავიძე (დირექტორი); თამარ სოსანიძე (დირექტორის მოადგილე); დარეჯან ნასუაშვილი (სასწავლო პროცესის მენეჯერი); ლელა ანთია (მოდულური პროფესიული პროგრამის „პიანისტ-აკომპანიატორი“ ხელმძღვანელი; თამარ მშვიდლობაძე (მოდულური პროფესიული პროგრამის „მუსიკის რეპეტიტორი“ ხელმძღვანელი)</p>

8.	<p>ონლაინ შეხვედრა განათლების XI საერთაშორისო გამოფენაში მონაწილეობის შესახებ</p> <p>ორგანიზატორები: საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო; პროფესიული განათლების განვითარების დეპარტამენტი</p>	<p>საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა და პროფესიული განათლების განვითარების დეპარტამენტის ორგანიზებით გაიმართა ონლაინ საინფორმაციო შეხვედრა "ექსპო ჯორჯია"-ს წარმომადგენელთან, ქალბატონ მარიამ ცაიშვილთან 27-28 მაისს დაგეგმილი განათლების XI საერთაშორისო გამოფენასთან დაკავშირებით.</p> <p>შეხვედრის ფარგლებში მონაწილეებს შესაძლებლობა ჰქონდათ დეტალურად გაცნობოდნენ გამოფენის ფორმატს და შინაარსობრივ მხარეს, ასევე მიეღოთ პასუხები მათ მიერ დასმულ შეკითხვებზე.</p> <p>შეხვედრა მიმდინარეობდა „ZOOM“ ონლაინ პლატფორმის გამოყენებით.</p>	<p>29 აპრილი, ახალი კორონავირუსის გავრცელების აღკვეთის მიზნით შექმნილი მდგომარეობის გათვალისწინებით ტრენინგები/ შეხვედრები ხორციელდება დისტანციურ რეჟიმში.</p>	<p>ნადეჟდა მანჯავიძე (დირექტორი); თამარ სოსანიძე (დირექტორის მოადგილე); დარეჯან ნასუაშვილი (სასწავლო პროცესის მენეჯერი); ლელა ანთია (მოდულური პროფესიული პროგრამის „პიანისტ-აკომპანიატორი“ ხელმძღვანელი; თამარ მშვიდლობაძე (მოდულური პროფესიული პროგრამის „მუსიკის რეპეტიტორი“ ხელმძღვანელი ნინო გივიამშვილი (სასწავლო პრაქტიკის, პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის მენეჯერი)</p>
----	---	---	--	--

განათლების XI საერთაშორისო გამოფენა (IEFG) ორგანიზატორები: საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო; საგამოფენო ცენტრი „ექსპო ჯორჯია“-განათლების მე-11 საერთაშორისო გამოფენა ექსპო-ჯორჯიას ორგანიზებით წელს პირველად ონლაინ ფორმატში გაიმართა. (27-28 მაისი)

ღონისძიების მიზანს წარმოადგენდა, შეექმნას პლატფორმა განათლების სისტემაში არსებული სიახლეების და სასწავლო პროგრამების სწრაფად, სრულყოფილად და პირდაპირ მისაღებად.

ონლაინ ფორმატის საშუალებით, გამოფენა პირველად სთავაზობდა დაინტერესებულ პირებს მთელი ქვეყნის მასშტაბით მონაწილეობა მიეღონ ღონისძიებაში.

განათლების გამოფენაზე, ყველა მონაწილე საგანმანათლებლო ორგანიზაციას შესაძლებლობას ჰქონდათ, მიეწოდებინათ მომავალ სტუდენტებს მეტი ინფორმაცია სასწავლო დაწესებულების შესახებ, დაემყარებინათ ორმხრივი: ტექსტური, აუდიო და ვიდეო კომუნიკაცია აუდიტორიასთან და საინტერესო კონტენტის შექმნით მაქსიმალურად გაეზარდათ დასწრება ონლაინ სივრცეში, განათლების გამოფენაზე.

2021 წელს სასწავლო პროცესი კვლავ ჰიბრიდულ, ხშირად კი ონლაინ რეჟიმში მიმსწავლებელმა აუცილებელი გახდა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო გეგმების კორექტირება. წინაპირობებისა და კვირეული დატვირთვის სრული დაცვით გადაჯგუფდა მოდულები, დისტანციური სწავლების მაქსიმალური დრო დაეთმო თეორიული მოდულების სწავლებას, ხოლო პრაქტიკული კომპონენტის შემცველი მოდულები განხორციელდა შეზღუდვების მოხსნის შემდეგ. ზოგიერთი მოდულის განხორციელება პროფესიული მასწავლებლების მიერ მოხდა ჰიბრიდული სახით, რაც გულისხმობს მოდულის თეორიული ნაწილის და შედეგების ონლაინ რეჟიმში გავლას, ხოლო პრაქტიკული შედეგების შეფასება მოხდა შეზღუდვების მოხსნის შემდეგ კოლეჯში. ცვლილებები შეეხო ყველა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო გეგმას. მათ შორის მიღევად რეჟიმში მყოფ ვოკალური ანსამბლისა და გუნდის მომღერლის მეხუთე საფეხურის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას.

ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერისა და მონიტორინგის ჯგუფის მიერ ტარდებოდა კოლეჯის მასწავლებელთა, სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა გამოკითხვა კოლეჯის მიერ შედგენილი და განახლებული კითხვარების საშუალებით, რომელიც გულისხმობს კოლეჯში მიმდინარე ყველა პროცესზე საკუთარი აზრის დაფიქსირებას. კითხვარების ანალიზის საფუძველზე შემუშავდა რეკომენდაციები, რომელთა შესრულება ხორციელდება ეტაპობრივად.

სასწავლო პრაქტიკის, პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის მენეჯერის მიერ კითხვარების მეშვეობით სისტემატიურად ხდებოდა და ხდება შრომის ბაზრის კვლევა., კურსდამთავრებულთა დასაქმების კვლევა

კოლეჯის ოფიციალურ ვებგვერდზე და ფეისბუქზე ხდება მიმდინარე სიახლეებისა და ინფორმაციის სისტემატიური განთავსება და განახლება, ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერს კოლეჯის პროფესიულ სტუდენტებთან აქვს მჭიდრო კონტაქტი, იცავს მათ უფლებებს, რომელიც გაწერილია კოლეჯის მარეგულირებელ დოკუმენტებში, უშუალო მონაწილეობას იღებს მათთვის სასწავლო პროცესში წარმოქმნილი სირთულეების გადაჭრაში.

სამწუხაროდ, არის საკითხები, რომლის შესრულებაც ჩვენგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო ვერ მოხერხდა, მაგრამ ვიმედოვნებთ, შეზღუდვების მოხსნის შემდეგ, სისრულეში მოვიყვანთ:

2021 წელს რეგულაციების დაცვით აღდგა კოლეჯის საკონცერტო დარბაზის ფუნქცია. ჩატარდა კოლეჯის პროფესიულ სტუდენტთა და მოსწავლეთა საანგარიშო კონცერტები. ვერ შედგა და შეზღუდვების მოხსნამდე გადაიდო ტრადიციული აკადემიური და საანგარიშო კონცერტები კოლეჯის სტუდენტთა და მოსწავლეთა მონაწილეობით.

სამწუხაროდ, ონლაინ ლექციების დასაწყისში ხშირი იყო ტექნიკური ხარვეზები, რის გამოც ხანდახან სრულყოფილად ვერ ხერხდებოდა სასწავლო პროცესის მონიტორინგი—ონლაინ ლექციების შემოწმება—დასწრება, თუმცა, ადმინისტრაციის წარმომადგენლები გაერთიანებული არიან ამ ჯგუფებში და ყოველთვის შეუძლიათ თუნდაც დასწრების გაკონტროლება. ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი ყოველთვის უშუალო

კონსულტაციას უწევდა პროფესიულ მასწავლებლებს შეფასების ინსტრუმენტების შექმნასა და შემუშავებაში (საწყის ეტაპზე), ამჟამად ყველა პროფესიული მასწავლებელი სრულიად დამოუკიდებლად ადგენს შეფასების ინსტრუმენტებს და ხდება მათი მხოლოდ შემოწმება ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერის მიერ, რაც ეყრდნობა კოლეჯში გამოცემულ და დატკიცებულ შესაბამის წესს.

სამუსიკო კოლეჯის პროფესიული მასწავლებლებისთვის და ადმინისტრაციისათვის შეიქმნა კოლეჯის დომენით განსაზღვრული ელექტრონული ფოსტები. კოლეჯის ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერისა და სასწავლო პრაქტიკის, პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის მენეჯერის ინიციატივით კოლეჯის კომპიუტერულ ლაბორატორიაში მოეწყო საინფორმაციო შეხვედრა პროფესიულ მასწავლებლებთან და ადმინისტრაციასთან, სადაც მოხდა სასწავლებლის დომენით განსაზღვრული ელექტრონული ფოსტების გაცნობა და გამოყენების ხერხები.

პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე 2021 წლის მიღებისათვის აქტიური მზადება მიმდინარეობდა. მზადება დაიწყო მათთვის თვეში. მომზადდა ვებინარები, პირდაპირ „Facebook Live“ ჩართვა; განცხადება განთავსდა კოლეჯის ოფიციალურ ვებ-გვერდზე, სოციალურ ქსელში და საგანმანათლებლო პორტალზე; მოეწყო ღია კარის დღე, რომელზეც აპლიკანტებს მიეწოდათ ამომწურავი ინფორმაცია სასწავლო პრაქტიკის მენეჯერისა და პროგრამების ხელმძღვანელების მიერ სასწავლო პროცესისა და დასაქმების პერსპექტივებზე.

ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერისა და სასწავლო პროცესის მენეჯერის ინიციატივით აპლიკანტებს კოლეჯის დარბაზში ჩაუტარდათ კონსულტაცია შემოქმედებითი ტურების ჩატარების თაობაზე.

შემოქმედებითი ტურები კოლეჯში პანდემიის პრევენციის რეკომენდაციების სრული დაცვით ჩატარდა; მომზადდა ორი აუდიტორია მეორე სართულზე, სადაც აპლიკანტის ადგილი დადგენილი დისტანციის გათვალისწინებით მონიშნა სტიკერებით, განთავსდა სადებიზინფექციო საშუალებები. მისაღებ გამოცდებზე დაცული იყო პანდემიის პირობებში უსაფრთხოების ყველა მოთხოვნა.

ჩატარდა მოსწავლეთა დახურული და ღია კონცერტები, მოსწავლეები მონაწილეობდნენ საქართველოს სამუსიკო სკოლებისა და სასწავლებლების მოსწავლეთა X ეროვნულ(რეგიონულ) კონკურსში, რომელიც გაიმართა 10-25 ოქტომბერს. კოლეჯი და რამდენიმე მოსწავლე დაჯილდოვდა კონკურსის სამსახსოვრო დიპლომებით. კოლეჯის მოსწავლეთა გუნდი, რომელიც მრავალი საერთაშორისო და ეროვნული კონკურსის გრან-პრისა და პრემიისა და ოქროს მედლის მფლობელია, პირველად მონაწილეობდა ონლაინ საერთაშორისო კონკურსში. საერთაშორისო კონკურსი „SIBIRIADA-2021“ 2021 წლის 3-15 დეკემბერს გაიმართა რუსეთის ქალაქ კემეროვოში და მასში 1500-მდე კოლექტივი და ინდივიდუალური შემსრულებელი მონაწილეობდა. კოლეჯის მოსწავლეთა გუნდმა პირველი ადგილი, ლაურეატის წოდება მოიპოვა და საგუნდო კოლექტივებიდან გრან-პრის ერთადერთი ნომინანტი გახდა. კონკურსის რეგლამენტით გრან-პრის მისაღებად აუცილებელი პირობა იყო გამგზავრება და ლაივ-კონცერტში მონაწილეობის მიღება, რისი ორგანიზებაც 5 დღის განმავლობაში, პანდემიის პირობებში შეუძლებელი იყო. სსიპ-გორის ს.ცინცაძის სახელობის სამუსიკო კოლეჯმა მონაწილეობა მიიღო საქართველოს კულტურის და ძეგლთა დაცვის სამინისტროს მიერ გამოცხადებულ „ინსტრუმენტების

კონკურსში” და გაიმარჯვა. გაფორმებულია ხელშეკრულება შპს „აიემტი სი მიუზიკ“-თან „იამაჰას“ ფირმის როიალის შეძენაზე . როიალი 2022 წლის 17 იანვარს უკვე მოეწოდა კოლეჯს.

კოლეჯის არსებული ვებგვერდის სივრცე ადარ იძლეოდა კოლეჯის პროფესიული სტუდენტებისა და პერსონალისთვის დომენით ...@gorimuscollege.edu.ge გამოყოფილი ელექტრონული ფოსტით სარგებლობის შესაძლებლობას.(ასეთი ფოსტით სარგებლობდა ადმინისტრაცია და კანცელარია). უჭირდა მუშაობა ვებგვერდსაც. ამიტომ მომავალი (2021 წლის) იანვრიდან გაფორმდა ხელშეკრულება 960 ლარზე ახალი დომენით სარგებლობისათვის. პირველი იანვრიდან კოლეჯის ვებგვერდი უკვე მუშაობს ახალი, 50 გიგაბაიტი სიმძლავრით, რათა შესაძლებელი იყოს კოლეჯის პროფესიული სტუდენტებისა და პერსონალისთვის დომენით გამოყოფილი ელექტრონული ფოსტით სარგებლობა(თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ სტუდენტები ბევრად უფრო აქტიურად და ოპერატიულად ფეისბუქით და მესენჯერში შექმნილი ჯგუფებით ურთიერთობენ.

სასწავლო პრაქტიკის, პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის მენეჯერი სასწავლო წლის განმავლობაში ახორციელებდა კოლეჯის ოფიციალური ვებ-გვერდისა (www.gorimuscollege.edu.ge) და სოციალური ქსელის (www.facebook.com) სისტემატურ განახლებას, რაც გულისხმობს ყველა სიახლის, განცხადების თუ დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ წინასწარ დაანონსებას და განთავსებას.

სამუსიკო კოლეჯის პროფესიული მასწავლებლებისთვის და ადმინისტრაციისათვის შეიქმნა კოლეჯის დომენით განსაზღვრული ელექტრონული ფოსტები. ამგვარად კოლეჯის ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერისა და სასწავლო პრაქტიკის, პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის მენეჯერის ინიციატივით კოლეჯის კომპიუტერულ ლაბორატორიაში მოეწყო საინფორმაციო შეხვედრა პროფესიულ მასწავლებლებთან და ადმინისტრაციასთან, სადაც მოხდა სასწავლებლის დომენით განსაზღვრული ელექტრონული ფოსტების გაცნობა და გამოყენების ხერხები.

3 ივლისიდან 1 სექტემბრამდე პერიოდულად მიმდინარეობდა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს, სსიპ-განათლების საინფორმაციო სისტემისა და სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრის მიერ ორგანიზებული ონლაინ ტრენინგები და საინფორმაციო შეხვედრები 2021 წლის საშემოდგო მიღებაზე პასუხისმგებელ პირებთან, სადაც განხილულ იქნა 2021 წლის საშემოდგო მიღებასთან დაკავშირებული საკითხები და განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში აპლიკანტთა რეგისტრაციის პროცესი (vet.emis.ge).

ამგვარად, 2021 წლის საშემოდგო მიღებისათვის შეიქმნა სხვადასხვა ტიპის სარეკლამო ბანერი, რომელიც აპლიკატთა რეგისტრაციის გამწვანებაში თავსდება კოლეჯის ოფიციალურ ვებ-გვერდზე www.gorimuscollege.edu.ge, Facebook გვერდზე და სოციალური ქსელის ჯგუფებში. ასევე ზიარდებოდა და ანონსდებოდა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა და განათლების საინფორმაციო სისტემის მიერ მოწოდებული ყველა სიახლე.

იხილეთ ლინკები:

<http://gorimuscollege.edu.ge/index.php/home/news/99-2021-07-07-11-11-53>

<http://gorimuscollege.edu.ge/index.php/home/news/100-2021-07-09-07-32-18>

<http://gorimuscollege.edu.ge/index.php/home/news/101-2021-07-16-07-38-07>
<http://gorimuscollege.edu.ge/index.php/home/news/102-2021-07-30-14-59-45>
<http://gorimuscollege.edu.ge/index.php/home/news/103-2021>
<http://gorimuscollege.edu.ge/index.php/home/news/104-20>
<http://gorimuscollege.edu.ge/index.php/home/news/105-20-2>
<http://gorimuscollege.edu.ge/index.php/home/news/106-2021-09-04-10-58-54>
<http://gorimuscollege.edu.ge/index.php/home/news/107-2021-09-06-11-38-29>
<http://gorimuscollege.edu.ge/index.php/home/news/108-2021-09-06-12-24-47>

<http://gorimuscollege.edu.ge/index.php/home/news/113-2021-09-20-06-56-42>
[tp://gorimuscollege.edu.ge/index.php/home/news/109-2021-09-08-13-47-37](http://gorimuscollege.edu.ge/index.php/home/news/109-2021-09-08-13-47-37)
<http://gorimuscollege.edu.ge/index.php/home/news/115-2021-4>
<http://gorimuscollege.edu.ge/index.php/home/news/117-2021-10-13-09-39-12>
<http://gorimuscollege.edu.ge/index.php/home/news/118-2021-10-13-09-45-13>

ივლისის თვეში (7-8 ივლისი) განხორციელდა კოლეჯის კურსდამთავრებულთა გამოკითხვა. კურსდამთავრებულთა კვლევის ანგარიში მიეწოდა კოლეჯის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მენეჯერს და მოხდა გამოკითხვის შედეგების განხილვა.

25, 27 აგვისტო საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა და პროფესიული განათლების განვითარების დეპარტამენტის ორგანიზებით გაიმართა ონლაინ შეხვედრები ალერგოლოგ-იმუნოლოგ, ბატონ ბიძინა კულუმბეგოვთან და განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილესთან, ქალბატონ თამარ ქიტიაშვილთან.

შეხვედრის ფარგლებში პროფესიული პროგრამების განმახორციელებელ საგანმანათლებლო დაწესებულებების ადმინისტრაციის თანამშრომლებსა და პროფესიულ მასწავლებლებს შესაძლებლობა ჰქონდათ მიეღოთ დეტალური ინფორმაცია კორონავირუსის (Covid-19) საწინააღმდეგო ვაქცინაციის შესახებ, დაესვათ კითხვები ინდივიდუალური მდგომარეობიდან გამომდინარე და სპეციალისტისგან მიეღოთ ობიექტური პასუხები.

1 სექტემბერი საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა და პროფესიული განათლების განვითარების დეპარტამენტის ორგანიზებით გაიმართა ონლაინ შეხვედრა ახალი კორონავირუსის (Covid-19) საწინააღმდეგო ვაქცინაციასთან დაკავშირებით, დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის წარმომადგენელთან, ქალბატონო მარინა თოფურიძესთან. შეხვედრების ორგანიზება მოხდა არა მხოლოდ, საგანმანათლებლო დაწესებულების ადმინისტრაციის თანამშრომლებისა და პროფესიული მასწავლებლებისთვის, არამედ, აქტიური სტატუსის მქონე პროფესიული სტუდენტებისთვის. შეხვედრების ორგანიზება მოხდა არა მხოლოდ, საგანმანათლებლო დაწესებულების ადმინისტრაციის თანამშრომლებისა და პროფესიული მასწავლებლებისთვის, არამედ, აქტიური სტატუსის მქონე პროფესიული სტუდენტებისთვის.

23 სექტემბერი ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერის ორგანიზებით სამუსიკო კოლეჯში ჩატარდა სტატეგიულ და სამოქმედო გეგმების სამუშაო ჯგუფის შეხვედრა, რომლის მიზანს წარმოადგენდა 2021 გეგმის შესრულებისა და 2022 წლის სამოქმედო გეგმის შემუშავებისათვის იდეების, რეკომენდაციების და საკუთარი მოსაზრებების დაფიქსირება.

24 სექტემბერი სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ორგანიზებით გაიმართა ონლაინ სამუშაო შეხვედრა, სადაც განხილულ იქნა პროფესიული სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების დასაქმების კვლევის მეთოდოლოგიისა და შედეგების ანალიზი (სტანდარტების ინდიკატორი 3.2.2.3.) და რეკომენდაციების შემუშავება. შეხვედრას უძღვებოდა ცენტრის დაგეგმვის, კვლევის და საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურის მთავარი სპეციალისტი ლიკა ქუთელია.

28 სექტემბერი საქართველოს პარლამენტის სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომიტეტის ინიციატივით, საქართველოს დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრისა და გაეროს განვითარების პროგრამის ხელშეწყობით, ჩატარდა ონლაინ ფორუმი ახალგაზრდებთან (16-დან 29 წლის ჩათვლით) - „ავიცრათ სიცოცხლის გადასარჩენად!“. ღონისძიება ემსახურებოდა მონაწილეთა ინფორმირებულობის დონის ამაღლებას, COVID-19-ის საწინააღმდეგო ვაქცინასთან დაკავშირებით, ასევე ვაქცინაციის თაობაზე ახალგაზრდების დადებითი გადაწყვეტილების დასაბუთების ხელშეწყობას. ფორუმის ფარგლებში, კოლეჯის ადმინისტრაციამ და პროფესიულმა სტუდენტებმა მიიღეს ინფორმაცია თემატურ საკითხებზე: აცრა და ვაქცინაცია - რატომ არის ეს მნიშვნელოვანი ახალგაზრდებისთვის; როგორ შევარჩიოთ ვაქცინა? როგორ შეუძლიათ ახალგაზრდებს ხელი შეუწყონ პანდემიის წინააღმდეგ ბრძოლას? ვაქცინა და რეპროდუქციული ჯანმრთელობა. ღონისძიების ფარგლებში.

როგორც მოგეხსენებათ 2019 წლიდან კოლეჯის ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერის, სასწავლო პრაქტიკის პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის მენეჯერისა და არასამთავრობო ორგანიზაციის („ხიდი მომავლისაკენ / BRIDGE TO THE FUTURE“) ურთიერთანამშრომლობით სტუდენტთა ცნობიერების ამაღლების მიზნით დაიწყო საინფორმაციო შეხვედრებისა და სემინარების ჩატარება ისეთ საკითხებზე, როგორცაა „ქალთა მიმართ ძალადობა, კიბერბულინგი“, „ტრეფიქინგთან და ნარკომანიასთან ბრძოლა“. სამწუხაროდ 2021 წელს ქვეყანაში COVID-19 შედეგად გამოწვეული ვითარებიდან გამომდინარე ვერ მოხერხდა პროფესიულ სტუდენტებთან ფროფესიული საკითხების გარდა დამატებითი შეხვედრების ჩატარება. 2022 წლისათვის დაიგეგმა სემინარი თემაზე „ნარკოტიკების მოხმარებისა და სხვა პრობლემური ქცევების რისკ და დამცავი ფაქტორები საქართველოს მოზარდებსა და ახალგაზრდებში“, სადაც განხილული იქნება შემდეგი საკითხები:

- თამბაქოს, ალკოჰოლისა და ნარკოტიკების მოხმარება ადრეულ ასაკში;
- ფსიქოაქტიური ნივთიერებების მოხმარების დაწყების ასაკი და ნივთიერებათა მოხმარებასთან დაკავშირებული რისკის აღქმა;
- ნარკოტიკების შესახებ ინფორმაციის წყაროები;
- სხვა ანტისოციალური ქცევები: აზარტული თამაშები და მისი გამოცდილება სხვა ანტისოციალურ ქცევებთან დაკავშირებით ;
- ფსიქოაქტიური ნივთიერებების მოხმარება და სხვა პრობლემური ქცევები.

სხვადასხვა კატეგორიის რესპოდენტების გამოკითხვისა და მათი პასუხების საფუძველზე განახლდა SWOT-ანალიზი, რომელსაც ძირითადად საფუძვლად უდევს პროფესიული სტუდენტების, კურსდამთავრებულებისა და მასწავლებელთა გამოკითხვის შედეგები. SWOT - ანალიზის შედეგები წარედგინა კოლეჯის ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერს და მოხდა მისი განხილვა.

და ბოლოს, რაც შეეხება ღონიძიებების დაგეგმასა და განხორციელებას როგორცაა: საანგარიშო კონცერტები, შიდა და საქალაქთაშორისო კონცერტები, კონკურსები და ფესტივალები, ქვეყანაში შექმნილი კორონა ვირუსის გავრცელებიდან გამომდინარე დროებით შეჩერდა. თუმცა გამოვოფ ერთ ფაქტს, რომ კორონა ვირუსით გამოწვეული ხანგრძლივი პაუზის შემდეგ წელს (26.06.2021) პირველად ჩატარდა სამუსიკო კოლეჯის პროფესიულ სტუდენტთა და კოლეჯთან არსებული სამუსიკო სემინარიის მოსწავლეთა კონცერტი, რომელიც COVID-19-ით გათვალისწინებული ყველა რეგულაციების დაცვით მიმდინარეობდა.

ახალი კორონავირუსული ინფექციის პრევენციის მიზნით, კოლეჯის ექთანი აწარმოებს სამედიცინო და სანიტარულ - ჰიგიენურ ჟურნალებს. სამედიცინო ჟურნალში აღრიცხულია თანამშრომელთა და სტუდენტთა ტემპერატურისა და რესპირატორული სიმპტომების ყოველდღიური აღრიცხვა, აგრეთვე, იწარმოება დეზინფექციის ჩატარების ჟურნალი, სადაც აღნიშულია დეზინფექციის ჩატარების თარიღი, დრო, სიხშირე და საშუალებები.

კორონავირუსული ინფექციის თავიდან აცილების მიზნით, სპეციალური სადეზინფექციო სითხით, 3 საათიანი ინტერვალით, მუშავდება: კაბინეტები, კლასები, დარბაზი, ინვენტარი და საპირფარეშოები. 2 მეტრიანი დისტანციით მონიშნა: დერეფნები, კაბინეტები და კლასები სპეციალური სტიკერებით. თვალსაჩინო ადგილზე განთავსდა პლაკატები. საპირფარეშოსა და კლასებში დაიდგა ხელის სადეზინფექციო სითხეები. განთავსდა დეზობარიერები. მოეწყო საიზოლაციო ოთახი. კოლეჯი მომარაგდა ყველა საჭირო სამედიცინო ინვენტარით, ჰიგიენური და სადეზინფექციო ხსნარებით. მკაცრად კონტროლდება დაწესებული რეგულაციები.

სახელმწიფო შეყიდვების გაგმაში გათვალისწინებული თანხა გაიზარდა ორჯერ 08 დეკემბერს 2250 ლარით (კომუნალური ხარჯებიდან ეკონომიის ხარჯზე) და 18 დეკემბერს 2850 ლარით (ხელფასის ფონდიდან)